

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის
25 თებერვლის სხდომის

ო ქ მ ი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე-ვარლამ ჭიპაშვილი

კომისიის წევრები: ლენა აბაშიძე, დავით კვიციანი, იუზა კვლენჯერიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, აკაკი ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, გივი თხელიძე, გივი თავზარაშვილი, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი და ნონა ზურაბიანი.

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიშის განხილვა.(მომხსენებელი,ვლადიმერ გელაშვილი)
2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა (მომხსენებელი,ვლადიმერ გელაშვილი)

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი არ დაუჭირეს დეპუტატებმა: თორნიკე ავალიშვილმა და ქეთევან ზუმბაძემ.

თორნიკე ავალიშვილმა განაცხადა, რომ ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-მ წერილით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომლის მიხედვითაც ისინი მოითხოვდნენ საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან თანხები დამატებული ყოფილიყო სოციალური პროგრამების დაფინანსების ხარჯებს, კერძოდ 43 000 ლარის ოდენობით. **თორნიკე ავალიშვილმა** მის თანაფრაქციულ დეპუტატთან **ქეთევან ზუმბაძესთან** ერთად დატოვა კომისიის სხდომა და პროტესტის საფუძვლად დაასახელა მერიის უმოქმედობა მის მიერ დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის სხდომაზე მერიის პასუხისმგებელი პირების გამოუცხადებლობა.

კომისიის თავმჯდომარის **ვარლამ ჭიპაშვილის** განმარტებით მან, როგორც კომისიის თავმჯდომარემ მუნიციპალიტეტის მერიას აცნობა ინფორმაცია კომისიის ჩანიშვნის შესახებ, თუმცა ადმინისტრაციული სამსახურის **უფროსის კახაბერ გოლუბიანის** პასუხის მიხედვით მერი სხდომას ვერ დაესწრებოდა მნიშვნელოვან შეხვედრაზე ყოფნის გამო.

ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ის იზიარებს **დეპუტატ თორნიკე ავალიშვილის** განცხადების შინაარსობრივ მხარეს, მაგრამ მისი აზრით ემოციურ ფონზე გაკეთებული განცხადებები და მიღებული გადაწყვეტილებები რეალური შედეგის მომცემი ვერ იქნება.

კომისიის წევრი **დავით კვიციანი** განმარტავს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობამ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე მხარი არ დაუჭირა მერიის ინიციატივას ძვირადღირებული ავტომანქანის შეძენისათვის ხარჯის გამოყოფასთან დაკავშირებით და ამასთანავე საკრებულოს უმრავლესობის პოზიცია წარმოადგენს, რომ

ავტომანქანის შეძენისათვის მოაზრებული ფინანსური რესურსი მოხმარდეს სოციალური პროგრამების დაფინანსებას.

კომისიის წევრის პაატა გოგოლაძის თქმით, საკრებულოს უმრავლესობას კარგად ესმის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და საკრებულო ყველა სამართლებრივ გზას გამოიყენებს, რომ დამატებით გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსება.

დეპუტატებს წლიური ანგარიში მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის წლიური

ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი

განისაზღვრებოდა 6 889,4 ათასი ლარით, წლის განმავლობაში განხორციელებული საბიუჯეტო ცვლილებების

შედეგად შემოსულობები გაიზარდა 6 711,8 ათასი ლარით და განისაზღვრა 13 601,2 ათასი ლარით, შემოსულობების ზრდა ძირითადად გამოწვეული იყო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი

6 642,2 ათასი ლარით და ჯარიმების გეგმის 69,6 ათასი ლარით გაზრდით, ფაქტიურად 2018 წელში მიღებულია 13 863,1 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების გეგმა შესრულებულია 101,9 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით ფაქტიური შემოსულობების ოდენობა შემცირებულია 1 631,7 ათასი

ლარით, რაც მთლიანად სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე მოდის, ხოლო

მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსულობები 2017 წელთან შედარებით 496,4 ათასი ლარით არის გაზრდილი.

2017 წელში მუნიციპალიტეტმა მიიღო სულ 15 494,8 ათასი ლარის შემოსულობები, აქედან, 2 434,9 ათასი

ლარის საკუთარი შემოსულობები და 13 059,9 ათასი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები, ხოლო

2018 წელს როგორც ზევით აღინიშნა მიღებულია 13 863,1 ათასი ლარის შემოსულობები, სადაც საკუთარი

შემოსულობები შეადგენს 2 931,3 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერები 10 931,8 ათას ლარს.

გადასახადები 2018 წელს მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 1 210,0 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1 404,0 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 146,3 %-ით, გეგმა შესრულდა გადასახადის სამივე სახეში, მათ

შორის საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილი 160,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 234,0 ათასი ლარი,

საწარმოთა ქონების გადასახადი 150,0 ათასი ლარის ნაცვლად 245,2 ათასი ლარი და ქონების გადასახადი

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 900,0 ათასი ლარის ნაცვლად 924. 8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი დაგეგმილი 11 006,6 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 10 931,8 ათასი ლარი, 99,3 %; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებულია სრულად 4 226,4 ათას ლარი,

მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ასევე მიღებულია სრულად 138,0 ათასი ლარის ოდენობით, და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი 6 642,2 ათასი ლარიდან მიღებულია 6 567,4 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 6273,7 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს 6 199,0 ათასი ლარი,

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 308,5 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ 59,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების წლიური გეგმა განისაზღვრებოდა 1 314,6 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 1 501,9 ათასი ლარის სხვა შემოსავლები, გეგმა შესრულებულია 114,2 %-ით და გეგმის ზევით მობილიზებულია 187,3 ათასი ლარი. ამ სახეში არ შესრულდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა და დაგეგმილი 100,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია მხოლოდ 40,9 ათასი ლარი ანუ 40,9 %; გადაჭარბებით შესრულდა გეგმები მიწის იჯარიდან მისაღები შემოსავლებიდან და ადგილობრივი

მოსაკრებლებიდან, მიწის იჯარიდან მუნიციპალიტეტმა დაგემილი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად მიიღო 64.5

ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი მოსაკრებლები 40,0 ათასი ლარის ნაცვლად მობილიზებულია 33.4 ათასი

ლარი, აქედან სანებართვო მოსაკრებელი შეადგენს 1.8 ათას ლარს და დასუფთავების მოსაკრებელი 31.6 ათას

ლარს.

ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლები 1 144.6 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 1 336.5 ათასი ლარი,

დაზუსტებული გეგმის ზევით მობილიზებულია 191,9 ათასი ლარი და გეგმა შესრულებულია 116,8 %-ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზაცია) შემოსულობები 2018 დაგემილი 70,0 ათასი ლარიდან ფაქტიურად შემოსულია 25,4 ათასი ლარი, აქედან ძირითადი ქონების გაყიდვიდან მივიღეთ 12,0

ათასი ლარი, ხოლო მიწების პრივატიზებიდან 13,4 ათასი ლარი იქნა მიღებული.

სულ მუნიციპალიტეტის 2018 წლის საკუთარი შემოსავლები ტრანსფერების გარეშე დაგემილი 2 524,6 ათასი

ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 2 931,3 ათასი ლარი ანუ 406,7 ათასი ლარით მეტი, ჯარიმებიდან,

იჯარიდან და სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლებიდან მიღებულმა ზეგემიურმა შემოსავალმა გადაფარა

ბუნებრივი რესურსებიდან და პრივატიზაციიდან ვერ მიღებული შემოსავლები.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა 2018 წელს გაწეული ხარჯების დაფინანსების წყაროდ ასევე

გამოყენებული იქნა 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული ნაშთი, რომელიც შეადგენდა 4 719,2

ათას ლარს, მათ შორის სახელმწიფო ფონდებიდან 4 409,4 ათასი ლარი და საკუთარი სახსრებიდან 309,8

ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი

გადასახდელების ნაწილში განისაზღვრებოდა 6889,4 ათასი ლარი, წლის განმავლობაში განხორციელებული

საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად გადასახდელების გეგმა გაიზარდა 11 431,0 ათასი ლარით და განისაზღვრა 18 320,4 ათასი ლარი, ისევე როგორც შემოსულობებში გადასახდელების გეგმები გაიზარდა

შემოსავლების ზრდის გამო 6 711,8 ათასი ლარით და 2018 წლის პირველი იანვრისათვის არსებული

სახსრების ნაშთიდან 4 719,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა 13 800,7 ათასი ლარი, 2018 წლის

გადასახდელები დაფინანსებულია 75,3 %-ით და 2 362,0 ათასი ლარით მეტია 2017 წლის ფაქტიურ გადასახდელებზე. (2017 წლის ფაქტიური გადასახდელები შეადგენდა 11 501,1 ათას ლარს) წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 2 236,0

ათასი ლარიდან გაწეულია 2 194,4 ათასი ლარი, 98.1 %. წინა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს გაწეულია

113.7 ათასი ლარით მეტი ხარჯი, 2017 წელს გაწეული ხარჯი შეადგენდა 2 080,7 ათას ლარს; 2018 წელს გაწეულ ხარჯებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები განსაზღვრული 582,9

ათასი ლარიდან გაწეულია 568,8 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,6 პროცენტით. მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1 643,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია

1 625,6 ათასი ლარი, 98,9 პროცენტით.

2018 წელს მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდი განისაზღვრა 50.0 ათასი ლარით, აქედან, 10,0 ათასი ლარი

მოხმარდა ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ათ სულიანი, სოციალურად დაუცველი

ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენას და 5,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის სტიქიის შედეგად დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებზე მიყენებული ზიანის

ანაზღაურებას. გარდა აღნიშნულისა 2018 წლის ბოლოს სარეზერვო ფონდიდან 25,0 გადატანილი იქნა

სოციალურ პროგრამებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა

და დახმარების ხარჯებისათვის.

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 86,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 85,8 ათასი ლარი,

ანუ 99,7 პროცენტი, გასულ წელთან შედარებით 2,0 ათასი ლარით მეტი, 2017 წელს გაწეული ხარჯი შეადგენდა 83,8 ათას ლარს.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 2018 წლის წლიური

შედეგების მიხედვით დაგეგმილი 12 609,3 ათასი ლარიდან ათვისებულია 8185,1 ათასი ლარი, 64,9 პროცენტი, რაც 2017 წელს გაწეულ ხარჯებზე 2 090,5 ათასი ლარით მეტია, 2017 წელს ინფრასტრუქტურაზე

ფაქტიურად გაწეული იყო 6094.6 ათასი ლარი. 2018 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების უშუალო

რეაბილიტაციაზე გათვალისწინებული 11 617,6 ათასი ლარიდან ფაქტიურად დახარჯულია 7 194,9 ათასი

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე და მოვლა-შენახვაზე დაგეგმილი 11 301,6 ათასი ლარიდან

დახარჯულია 7 076,9 ათასი ლარი, პროგრამა დაფინანსებულია 62,6 პროცენტით, ამასთან გასულ წელთან

შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 2 036,6 ათასი ლარით მეტი, 2017 წელს საგზაო

ინფრასტრუქტურას ფაქტიურად მოხმარდა 5 040,3 ათასი ლარი.

ა) გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები დაგეგმილი 11 028,1 ათასი ლარიდან

დაფინანსებულია 6 945,2 ათასი ლარი, ანუ 63 % და მიუხედავად 4 082, 9 ათასი ლარის ათვისებლობისა

გასულ 2017 წელთან შედარებით დახარჯულია 890,3 ათასი ლარით მეტი .

მათ შორის 6607,7 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან, აქედან:

- 2018 წლის N 136 განკარგულებით გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 3 599,1 ათ. ლარი .

- 2017 წლის N1401 განკარგულებებით აღებულ ვალდებულებებზე 1 009.9 ათ. ლარი.

- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე - 2017 წლის N 2712 განკარგულებით გზების რეაბილიტაციაზე გაწეულია 641.6 ათ.ლარი (არაფინანსური აქტივების ზრდაზე და

გასწორხაზოვნებაზე); 2017

წლის N 1679 განკარგულებით გზების სარეაბილიტაციოდ 386.3 ათ.ლარი); 2016 წლის N 1533 განკარგულებით

27,6 ათ. ლარი.

რეგიონალური განვითარების ფონდების ნაშთებიდან 2016 წლის N 175 განკარგულებით დაიხარჯა 18,7

ათ.ლარი; 2015 წლის N 39 განკარგულებით 15,0 ათ.ლარი. 2017 წლის N 480 განკარგულებით 708,4 ათ. ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2018 წლის N 955 განკარგულებით სოფ. ბუინევის

სასოფლო გზის რეაბილიტაციაზე 61,7ათ. ლარი. 2017 წლის N693 განკარგულებით 129.2 ათ.ლარი სოფელ

წიფის სასოფლო გზის რეაბილიტაციაზე.

ასევე 2014 წლის N 34 განკარგულების ნაშთიდან სპეციალური ტრანსფერით 10.2 ათ.ლარი დაიხარჯა გზის

რეაბილიტაციისათვის.

გარდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებისა გზების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტმა თანადაფინანსების წესით საკუთარი სახსრებიდან დახარჯა 337,6 ათასი ლარი.

ბ) ხიდების და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი 263,5 ათასი ლარიდან

დაფინანსებულია 121,7 ათასი ლარის სამუშაოები, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი

სახსრებიდან სტიქიით დაზიანებული ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციოდ გაწეულია 115,9 ათ.ლარი (N1679

განკარგულებით 50.2 ათ.ლარი 2018 წლის N 2712 განკარგულებით 65.7ათ.ლარი) და საკუთარი სახსრებით 5,8

ათასი ლარი.

გ) მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტმა დახარჯა 10,0

ათასი ლარი;

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული

1 066,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 049,3 ათასი ლარი, ე.ი. 98,4 პროცენტი, ამ პროგრამის ფარგლებში

დაფინანსდა:

- სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა და გაწმენდა 17,3 ათასი ლარის ოდენობით.

- დასუფთავების სუბსიდირება რეორგანიზაციამდე 145,5 ათასი ლარი,
მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციისათვის პროექტის შესყიდვა 0,4 ათასი ლარი.

- წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 10,8 ათასი ლარი.

- გარე განათების სუბსიდირება რეორგანიზაციამდე 46,5 ათასი ლარი.

- კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა 84,4 ათასი ლარი;

- ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდირება 744,4 ათასი ლარი.

3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი 228,9 ათასი

ლარიდან 46,8 ათასი ლარი იქნა ათვისებული, აქედან 43,8 ათასი ლარი მოხმარდა პარკების და სკვერების

სუბსიდირებას, ხოლო 3,0 ათასი ლარი პარკების ადა სკვერების რეაბილიტაციისათვის პროექტის შედგენას

მოხმარდა.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2018 წელში მთლიანად

წინა წლების ნაშთებიდან დაფინანსდა და დაგეგმილი 12,2 ათასი ლარიდან დაფინანსდა 12,1 ათასი ლარი.

დაფინანსება განხორციელდა საქ.მთავრობის 2016 წლის N 265 განკარგულებით.

ინფრასტრუქტურული პროფილის ა(ა)იპების მიერ 2018 წელში სულ ფაქტიურად დახარჯული 980,3 ათასი

ლარიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 727,1 ათასი ლარი, ანუ 72,2% ხოლო დანარჩენი 253,1

ათასი ლარი მიიმართა სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების დასაფარავად. დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა

158 -ს, საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს 2,2 ათასი ლარი.

განათლებაზე 2018 წელში გათვალისწინებული 1303,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 1 291,1 ათასი

ლარი და დაფინანსებულია 99,0 პროცენტით და 2017 წელს გაწეულ ხარჯებზე 46,7 ათასი ლარით ნაკლებია,

2017 წელს ფაქტიურად გაწეული ხარჯი შეადგენდა 1337,8 ათას ლარს. სკოლამდელი დაწესებულებების

სუბსიდირებას მოხმარდა 1 080,0 ათასი ლარი, კიციხის სკოლა- ინტერნატის სუბსიდირებას 104,8 ათასი ლარი

და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებას 103,0 ათასი ლარი.
განათლების ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფის
პროგრამაზე
მუნიციპალიტეტმა 2018 წელს საკუთარი სახსრებით დახარჯა 4,3 ათასი ლარი.
განათლების ა(ა)იპ-ების მიერ დახარჯული 1 287,8 ათასი ლარიდან შრომის ანაზღაურებაზე
დახარჯულია
1 020,2 ათასი. ლარი ანუ ხარჯების 79, 2 %, დარჩენილი 267,6 ათასი ლარი მიმართულია
სხვადასხვა
მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, აღნიშნული პროფილის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 271
მომუშავე,
საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს მოსწავლეთა სახლს 2,7 ათასი ლარი.
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი
1262,7 ათასი
ლარიდან დახარჯულია 1 251,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,1 პროცენტით, 2017 წელთან
შედარებით გაწეულია 99,0 ათასი ლარით მეტი ხარჯი, 2017 წელს გაწეული იყო 1 152,3 ათასი
ლარი;
სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 374,8 ათასი ლარი, აქედან სპორტული ღონისძიებების
დაფინანსებაზე დახარჯულია 5,2 ათასი ლარი, რეორგანიზაციამდე სპორტული სკოლის
სუბსიდირებაზე 60,8
ათასი ლარი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 28,1
ათასი
ლარი. ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის სუბსიდირებაზე 280,7 ათასი ლარი.
კულტურის განვითარებაზე 2018 წელს დაგეგმილი 761,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 758,1
ათასი
ლარი, აქედან სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე 111,9 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების
სახლის
სუბსიდირებაზე 10,0 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 65,2 ათასი ლარი,
ცენტრალური
ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 45,2 ათასი ლარი; ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 22,4
ათასი
ლარი, ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 12,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ კულტურისა და
ხელოვნების

ცენტრის სუბსიდირებაზე 491,3 მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის
სუბსიდირებაზე 53,2 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე დაიხარჯა 15,2 ათასი
ლარი და რელიგიის დაფინანსებას მოხმარდა 50,0 ათასი ლარი;
სულ სპორტისა და კულტურის ა(ა)იპ-ებზე დახარჯული 1 181,2 ათასი ლარიდან 970,9 ათ. ლარი მოხმარდა შრომის ანაზღაურებას, ანუ 82,1 %, ხოლო დარჩენილი 210,3 ათასი ლარი სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების და ღონისძიებების დაფინანსებას მოხმარდა, აღნიშნული პროფილის ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 203 მომუშავე, საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს 45,1 ათასი ლარი, სამუსიკო სკოლას 10,2 ათასი ლარი, კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 13,3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე დაგეგმილი 822,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 793,0 ათასი ლარი, 96,4 %; საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 126,9 ათასი ლარი, სოციალურ პროგრამებზე 2018 წელში დაგეგმილი 695,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 666,1 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე 92,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 425,0 ათასი ლარი; ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 27,0 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 121,3 ათასი ლარი მათ შორის საქ. მთავრობის 2018 წლის N 2367 განკარგულებით 59,9 ათასი ლარი, და საკუთარი სახსრებით 61,4 ათასი ლარი. ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 0,5 ათასი ლარი. სულ ჯანდაცვის და ოციალური პროფილის ა (ა)იპ-ებზე გაწეული 219,2 ათასი ლარიდან 150,6 ათასი ლარი

გაწეულია შრომის ანაზღაურებაზე, 68,7 %, ხოლო დანარჩენი 68,6 ათასი ლარი სხვა დანარჩენი ხარჯების

დაფინანსებას მოხმარდა, აღნიშნულ ა(ა)იპ-ებში 2018 წელს დასაქმებული იყო 30 მომუშავე, საკუთარი

შემოსავლები მიღებული აქვს საზ. ჯანმრთელობის ცენტრს 11,1 ათასი ლარი.

სულ მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში გახარჯული 13 800,7 ათასი ლარიდან სახელმწიფო ფონდების

ხარჯზე გაწეულია 6 934,5 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გახარჯულია 6 866,2 ათასი

ლარი, აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე საკუთარი სახსრებით გაწეულია 443,9 ათასი ლარი, 6,5%;

ხოლო დანარჩენი 6 422,3 ათას ლარის ხარჯებიდან:

- შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 1602,1 ათასი ლარი, 24,9 %;
- საქონელსა და მომსახურებაზე 527,4 ათასი ლარი, 8,2 %;
- პროცენტზე- 47,1 ათასი ლარი, 0,7 %;
- სუბსიდიაზე 3 568,5 ათასი ლარი, 55,6 %;
- გრანტებზე 0,4 ათასი ლარი;
- სოციალურ უზრუნველყოფაზე 463,0 ათასი ლარი, 7,2 %;
- სხვა ხარჯებზე 213,8 ათასი ლარი 3,3 %; „

გელაშვილის ინფორმაციით, არ შესრულდა ბუნებრივი რესურსით სარგებლობის მოსაკრებლისა და პრივატიზებით მიღებული შემოსავლების გეგმა. ვლადიმერ გელაშვილმა აღნიშნა, რომ ჯარიმების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ხარჯზე შეძლეს აღებული ვალდებულებების შესრულება.

კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, შემოსავლების დაგეგმვისას იყო შეცდომა დაშვებული. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას საკრებულოს ერთ-ერთი შენიშვნა სწორედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლისა და ქონების პრივატიზებასთან დაგეგმილ არარეალურ შემოსავლებს ეხებოდა, რომელიც მერიამ არ გაითვალისწინა.

კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა მომხსენებელს სთხოვა დეტალურად განემარტა ინფორმაცია, 2018 წელს სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ.

მომხსენებელმა ვლადიმერ გელაშვილმა დეტალურად ჩამოთვალა ის ღონისძიებები, რომლებიც დაფინანსდა სარეზერვო ფონდის ფარგლებში 2018 წელს.

ვარლამ ჭიპაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სარეზერვო ფონდის დაფინანსებით მერიამ საცხოვრებელი სახლი შეუძინა სოფელ წიფში მცხოვრებ მრავალშვილიან უსახლკარო ოჯახს.

კომისიის წევრი დავით კიკნაძე უკმაყოფილებას გამოხატავს ინფრასტრუქტურული კუთხით დაგეგმილი ხარჯების ათვისების დაბალი დონის გამო.

კიკნაძის თქმით 4 მილიონ ლარზე მეტი აუთვისებელია, ხოლო 2 მილიონ ლარამდე თანხა ავანსის სახითაა გაცემული და შედეგები კატასტროფულად მიაჩნია.

დეპუტატი გივი თავზარაშვილი აღნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურული ხარჯების ათვისებლობას აქვს ადგილი, რაც მისი თქმით ძალიან ცუდია და საგანგაშო.

კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის განცხადებით 2018 წლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება იყო არასაკმარისი და არ მომხდარა - აღმზდელებისათვის ხელფასების მომატება დაპირებულ ნიშნულამდე და NI საბავშვო ბაღის გაზიფიცირება, რაც 2019 წელს მაინც უნდა მოხერხდეს.

კომისიის წევრი მარინე ხვედელიძე საბავშვო ბაღების აღმზრდელების მუშაობის ფასდაუდებლად მიიჩნევს, ხოლო მათთვის ხელფასების მომატებას აუცილებლობად.

დეპუტატი იუზა კვლენჯერიძე აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების კუთხით პრობლემებია, რასაც ფინანსური მაჩვენებლები ცხადყოფს.

კომისიის მდივანი, ლენა აბაშიძე ითხოვს, რომ გამოიძებნოს სამართლებრივი გზა და სოფელ ვერტყვიჭალაში მიმდინარე ტაძარი დაფინანსდეს შესაძლებლობის ფარგლებში რელიგიის მუხლიდან.

მომხსენებლის, ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, ეპარქია წყვეტს კონკრეტულად რომელი ტაძრის მშენებლობა უნდა დაფინანსდეს.

დეპუტატებმა გივი თხელიძემ და დავით კიკნაძემ განაცხადეს, რომ 2018 წელს მოქალაქეთა დასახმარებლად განკუთვნილი ერთჯერადი ფინანსური დახმარების ფონდი პრაქტიკულად არ არსებობდა, რაც ძალიან სერიოზულ პრობლემად მიაჩნიათ.

კომისიის წევრის, ოთარ ლურსმანაშვილის განცხადებით 2018 წელს სოფლებში არ მოწყობილა გარე-განათების ახალი ქსელები და არ განხორციელებულა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, რაც ამ მხრივ დეპუტატს არაეფექტურ მუშაობად მიაჩნია.

დეპუტატი პავლე კიკალიშვილი პრობლემებს ხედავს ინფრასტრუქტურული ხარჯების ათვისების მაჩვენებელში და აქვე დაინტერესდა სხვა მუნიციპალიტეტში რა მდგომარეობაა ამ კუთხით.

კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა გამოყო ტრანსფერი და მუნიციპალიტეტმა დამატებით დახარჯა საკუთარი შემოსავლები, რასაც მისი თქმით სახელმწიფო აუდიტი პრაქტიკიდან გამომდინარე არამიზნობრივად მიიჩნევს.

ჭიპაშვილის თქმით, ან ტრანსფერის გაზრდის აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს და ან ხარჯები შემცირდეს და მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ტრანსფერის ოდენობასთან.

მომხსენებლის, ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით მერია მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან, რათა გაიზარდოს მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

დეპუტატმა, მარინა ხვედელიძემ ყურადღება გაამახვილა აღმზრდელების ხელფასებზე და კულტურული ღონისძიებების დაფინანსებაზე და აღნიშნა, რომ პროგრამების დაფინანსებისას პრიორიტეტულობა სწორად უნდა განისაზღვროს და პროგრამების ეფექტურობა ობიექტურად შეფასდეს.

კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მაშტაბების გაზრდა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობად პროგრამების განხორციელება, მაგრამ სამწუხაროდ ამ მიმართულებებით დაგეგმილი ხარჯები აუთვისებელი დარჩა, რაც დეპუტატს გაუმართლებლად მიაჩნია. ჭიპაშვილის განმარტებით, მერიამ უნდა გააჩინოს თვით ინიციატივები შედეგების მისაღწევად.

პოზიციების გამოხატვის შემდგომ, კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოს რეგლამენტის ის ნორმა, რომელიც დეტალურად გაწერს ბიუჯეტის წლიური ანგარიშის დამტკიცების სამართლებრივ პროცედურებს და იმედი გამოთქვა რომ საკრებულოს ფრაქციები და კომისიები აქტიურად განიხილავენ ანგარიშს დასკვნების წარმოდგენის მიზნით.

დეპუტატი იუზა კელენჯერიძე მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ხელშესაწყობად ფინანსები და შესაბამისი უწყებების აქტიურობა არასაკმარისია.

კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა რომ 2018 წლის ბიუჯეტი არ ყოფილა პროგრამული და შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშიც არ იძლევა განხორციელებული პროგრამების ეფექტურობის შესახებ სრულყოფილი ანალიზის საშუალებას. აღნიშნული პოზიცია გაიზიარეს დეპუტატთა უმრავლესობამ.

საბოლოოდ, კომისიაზე წევრებმა ერთსულოვნად მიიჩნიეს საკითხი კომისიამ განხილულად ჩათვალოს და გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად, ამასთანავე შემუშავდეს შემდეგი შეფასებები, შენიშვნები და რეკომენდაციები.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას

საკრებულოს ერთ-ერთი შენიშვნა სწორედ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლისა და ქონების პრივატიზებასთან დაგეგმილ არარეალურ შემოსავლებს ეხებოდა, რომელიც მერიამ არ გაითვალისწინა. კომისია იმედოვნებს, რომ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას ასეთი შეცდომა აღარ იქნება დაშვებული.

დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტმა გამოყოფილ ტრანსფერთან ერთად დამატებით არ უნდა დახარჯოს საკუთარი შემოსავლები, რასაც კომისიის შეფასებით სახელმწიფო აუდიტი პრაქტიკიდან გამომდინარე არამიზნობრივად

მიიჩნევს. ამასთანავე, ტრანსფერის გაზრდის აუცილებლობა უნდა დასაბუთდეს და ან ხარჯები შემცირდეს და მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ტრანსფერის ოდენობასთან.

2018 წელს მოქალაქეთა

დასახმარებლად განკუთვნილი ერთჯერადი ფინანსური დახმარების ფონდი პრაქტიკულად არ არსებობდა, რაც ძალიან სერიოზულ პრობლემას იყო, აქედან გამომდინარე დეპუტატებს აუცილებლად მიაჩნიათ ამ მიმართულებით საბიუჯეტო ფონდის გაზრდა.

კომისია

უკმაყოფილებას გამოხატავს ინფრასტრუქტურული კუთხით დაგეგმილი ხარჯების ათვისების დაბალი დონის გამო და აუცილებლად მიიჩნევს მერიამ დროულად გაატაროს ყველა კანონიერი ღონისძიება, რათა დასრულდეს მიმდინარე პროექტები, ამასთანავე მერიამ უნდა წარმოადგინოს ანალიზი პროექტების გაჭიანურებისა და ჩავარდნის გამომწვევის მიზეზების შესახებ.

კომისიას

მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში საჭიროა საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მაშტაბების გაზრდა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობად პროგრამების განხორციელება. აღნიშნული მიმართულებებით დაგეგმილი ხარჯები აუთვისებელი დარჩა, რაც დეპუტატებს გაუმართლებლად მიაჩნიათ. კერძოდ, აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ხელშესაწყობი პროგრამების განხორციელებისათვის და მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებების გასატარებლად შესაბამისი უწყებების აქტიურობა არასაკმარისია.

კომისიის შეფასებით, 2018 წლის

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება იყო არასაკმარისი და არ მომხდარა - აღმზდელებისათვის ხელფასების მომატება დაპირებულ ნიშნულამდე და N1 საბავშვო ბაღის გაზიფიცირება, რაც 2019 წელს მაინც უნდა მოხერხდეს.

კომისიის შეფასებით,

2018 წლის ბიუჯეტი არ ყოფილა პროგრამული და შესაბამისად წარმოდგენილი ანგარიშიც არ იძლევა განხორციელებული პროგრამების ეფექტურობის შესახებ სრულყოფილი ანალიზის საშუალებას.

კომისიის შეფასებით,

ა(ა)იპ-ების რეორგანიზაციით მერიისგან დაანონსებული 200 000 ლარი არ გამოთავისუფლდა და შესაბამისად თანხები დამატებით არ მობილიზებულა სხვადასხვა მუნიციპალური პროგრამების განხორციელების მიზნით.

დეპუტატების განცხადებით,

2018 წელს მუნიციპალიტეტის მაშტაბით არ განხორციელებულა გარე-განათების ახალი ქსელების მოწყობა და მრავლაბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია. კომისიას მიაჩნია, მუნიციპალურმა სამსახურებმა 2019 წელს განახორციელონ ღონისძიებები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად.

კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა ასევე განიხილეს თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი. ცვლილებების მიხედვით, სკოლების სარემონტო სამუშაოებისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა დამატებით 210 ათასი ლარი მიიღო, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილ 430 000 ლარს დაემატა კიდევ 430 000 ლარი.

კომისიის სხდომაზე იმყოფებოდა ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ქალბატი მარინე ვეფხვაძე, რომელმაც დეტალურად მიაწოდა დეპუტატებს ინფორმაცია თუ რომელ სკოლებზე რა ოდენობით დაიხარჯება ფინანსები ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით.

რესურსცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციით, ეს თანხა მათ ასე გაანაწილეს (ჯამში 430 000 ლარი)

103 000 ლარი – ხარაგაულის #3 სკოლაში სახურავის, კარ-ფანჯრების, იატაკისა და შიდა კიბის რეაბილიტაციისთვის;

32 000 ლარი – ბორის სკოლაში მესამე სართულის იატაკის შესაცვლელად და კოსმეტიკური რემონტისთვის;

31 000 ლარი – ლედენის სკოლაში ახალი სველი წერტილების მოსაწყობად;

25 000 ლარი – ნადაბურის სკოლაში არსებული სველი წერტილის მოსაწესრიგებლად;

16 000 ლარი – ხიდარში სველი წერტილების ასაშენებლად,

20 000 ლარი – წიფის სკოლაში საყრდენი კედლის გასამაგრებლად;

7 000 ლარი – ბორითის სკოლაში პანდუსის მოსაწყობად;

40 000 ლარი – ღორემის საჯარო სკოლაში იატაკის, სამი კარებისა, სველი წერტილის კარების შესაცვლელად;

9000 ლარი – ვარძიის საჯარო სკოლაში საწვიმარი ღარებისა და სკოლის გარე კედლების შესაღესად;

15000 ლარი – მოლითის საჯარო სკოლაში სახურავის ნაწილის შესაცვლელად;

15000 ლარი – ბაზალეთის საჯარო სკოლაში ღობისა და სველი წერტილების მოსაწესრიგებლად;

20000 ლარი – საღანძილის საჯარო სკოლაში სახურავის გადასადებად, კედლების შესაღესად და იატაკის რეაბილიტაციისთვის;

5000 ლარი – მარელისის დაწყებითი სკოლის ეზოს შემოსაღობად;

5000 ლარი – ხევის საჯარო სკოლის კოსმეტიკური რემონტისთვის;

25 000 ლარი – ვახანის საჯარო სკოლაში ახალი სველი წერტილის მოსაწყობად;

42 000 ლარი – თეთრაწყაროს სკოლაში იატაკის დასაგებად, სველი წერტილის მოსაწერიგებლად და მცირე კოსმეტიკური რემონტისთვის (კიციხის სკოლის მშენებობასთან დაკავშირებით ამ სკოლის მოსწავლეები თეთრაწყაროს სკოლაში ისწავლიან)


კომისიის წევრმა, მარინა ხვედელიძემ კიდევ ერთხელ ისაუბრა დაბა ხარაგაულის # 3 საჯარო სკოლის პრობლემებზე და აღნიშნა, რომ დაგეგმილი თანხა სკოლაში არსებულ პრობლემებს მხოლოდ ნაწილობრივ მოაგვარებს.

დეპუტატი ლენა აბაშიძე, მიესალმა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსების გაორმაგებას.

მომხსენებლის, ვლადიმერ გელაშვილის განმარტებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლებში საერთო კრებები გრაფიკის მიხედვით ტარდება და მოსახლეობა ირჩევს პრიორიტეტებს.

წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტს კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

 /ვარლამ ჭიკაშვილი/

25. 02. 2019 წელი